მწვანე ალტერნატივა
გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები
შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ინერტული მასალების საწარმოს სკრინიგნის ანგარიშის გამოქვეყნების თაობაზე

4 დეკემბერი, 2019

ა.წ 27 ნოემბერს სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია განცხადება სათაურით „სკრინინგის განცხადება - ინერტული მასალების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი“. თუმცა, აღნიშნულ განცხადებაში არ არის წარმოდგენილი არც სკრინინგის განცხადება და არც ანგარიში.

განცხადებაში მოცემულია განმარტება დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე, რაც ვერ ჩაითვლება სკრინინგის განცხადებად. ასევე, გაუგებარია რა დოკუმენტზე უნდა ჰქონდეს დაინტერესებულ საზოგადოებას შენიშვნები და/ან კომენტარები.

განცხადებაში მოცემულია ბმული 2019 წლის 15 ნოემბრის განცხადებაზე რომლითაც გამოქვეყნდა შპს-ს მიერ ადრე წარმოდგენილი დოკუმენტები.

დოკუმენტების კომპილაცია და იმის ვარაუდი, თუ ანგარიშის რა ნაწილში და რა საკითხებთან მიმართებაში არის მნიშვნელოვანი წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის დაინტერესებული მოქალაქეების ვალდებულება. ხოლო სამინისტროს ვალდებულებაა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი პროცედურის შესაბამისად სრულყოფილი სკრინინგის განცხადების გამოქვეყნება.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, ვიმედოვნებთ, სამინისტრო უზრუნველყოფს პროცესის კანონთან შესაბამისობას.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org